მაგისტრანტების საველე-გეოლოგიური პრაქტიკა გოდერძის უღელტეხილზე

2018 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მეორე კურსის მაგისტრანტები, ბადრი გოგია და იოსებ ჩიტაური, ხელმძღვანელთან, პროფესორ ნოდარ ფოფორაძესთან ერთად იმყოფებოდნენ საველე-გეოლოგიურ პრაქტიკაზე გოდერძის უღელტეხილზე და მიმდებარე ტერიტორიებზე.

ექსპედიციის მიზანი იყო სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული აქტივობების შესრულება, რომლებიც ითვალისწინებს გოდერძის ნამარხი ტყის გაქვავებული ხეების ძირითადი გამოსავლების დადგენას, ხეობებიდან ნიმუშების აღებას ლაბორატორიული კვლევის მიზნით და დაკვირვების წერტილების GPS კოორდინატების დაფიქსირებას. ასევე, მოხდა რაიონის დასურათება რეალური მდგომარეობის აღსაწერად როგორც ფოტოკამერით, ისე დრონის (DJI Phantom 4 Pro) მეშვეობით, რომელიც შეძენილია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის (№217754) ბიუჯეტით.

აეროფოტოგადაღების შედეგად მიღებული მონაცემებით მოხდება მნიშვნელოვანი ლოკაციების ფოტოგრამეტრიული 3D მოდელირება და მიმდებარე ტერიტორიების ლანდშაფტების ანალიზი ოპტიმალური ტურისტული მარშრუტების შედგენისთვის.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო ნაშრომის კვლევა მოიცავს როგორც ნიმუშების მინერალოგიურ შესწავლას, ასევე, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე პირველი ქართული გეოპარკის კონცეფციის შემუშავებას.